

## ოთარ ჭედია (1954 – 2024)



ოთარ ჭედია დაიბადა ქ. თბილისში 1954 წლის 9 მაისს ქართველ მეცნიერთა ოჯახში (დედა - თამარ ზურაბიშვილი ქართული ენის ფილოლოგი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, მამა - ძველსლავური ენების სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); ოთარი სწავლობდა ჯერ მე-60 სკოლაში, და შემდგომ ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1976 წელს, მათემატიკური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (პლაზმური ასტროფიზიკის განყოფილებაში, ფაქტობრივად ამ განყოფილების დაარსების დღიდან). ბატონი ოთარი იყო საქართველოში თეორიული ასტროფიზიკის სკოლის ჩამოყალიბების თანამონაწილე. თავისი კეთილშობილი, მშვიდი და მეგობრული ბუნებით ალამაზებდა ობსერვატორიის მეცნიერულ ცხოვრებას. იგი გამორჩეულად ფართოდ ერუდირებული და უაღრესად კეთილსინდისიერი ადამიანი იყო. მშობლიურ ქართულ ენასთან ერთად

თავისუფლად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. ჭადრაკსა და კინოხელოვნებაში პროფესიონალებს არ ჩამოუვარდებოდა. ამასთანავე ის წარმატებული მეცნიერი იყო, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1998), არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი.

მას სამეცნიერო კვლევა ჩაუტარებია როგორც კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში (რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვი), აგრეთვე ბელფასტის უნივერსიტეტში (გაერთიანებული სამეფო). მისი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა მაგნიტური ველის გენერაციის მექანიზმი რელატივისტურ პლაზმაში, კერძოდ კი, კიბორჩხალის ნისლეულის მაგნიტური ველის გენერაციის საკითხი.

1995-98 წლებში მან მუშაობა გააგრძელა TACIS courses for Georgian civil servants მასწავლებელ-ექსპერტად და 1998 წელს შეუერთდა კავკასიის ბიზნეს სკოლის (და შემდგომ კავკასიის უნივერსიტეტის) კოლექტივს, სადაც ჯერ ლექტორად და შემდგომ პროფესორად მუშაობდა ცხოვრების ბოლომდე. იგი ამაყოფიდა კავკასიის უნივერსიტეტის კოლექტივის წევრობით. ბატონი ოთარი გამორჩეული ლექტორი იყო და სტუდენტების არაერთმა თაობამ მიიღო მისგან საფუძვლიანი განათლება მიკრო და მაკრო-ეკონომიკაში;

2013 წლის იანვარში მას გადაეცა ღირსების ორდენი; ამავე პერიოდში ბატონ ოთარს ონკოლოგიური დაავადება დაუდგინდა და მიუხედავად ამისა შეძლებისდაგვარად აგრძელებდა სწავლებას - ნახევარი წლის განმავლობაში ასწავლიდა, ხოლო მეორე ნახევარი წელი აშშ-ში მკურნალობდა, სადაც შვილი და მეუღლე გვერდით ედგნენ; ბოლო წუთამდე მიაჩნდა, რომ სიცოცხლეშივე შეძლებდა საქართველოში დაბრუნებას, რომ თავის ახლობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს

გამომშვიდობებოდა, მაგრამ 12 წლიანი ბრძოლის შემდეგ, 2024 წლის 18 დეკემბერს აშშ-ში, ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში შვილთან და მეუღლესთან გამომშვიდობების შემდეგ მარადისობას შეუერთდა. იანვარში კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბატონი კახა შენგელიას დახმარებითა და საქართველოს საელჩოსთან შუამდგომლობით (რისთვისაც მისი ოჯახი ყოველთვის მადლიერი დარჩება), ის მშობლიური საქართველოს მიწას მიაბარეს.

პროფესორი ოთარ ჭედია გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, ინტელექტით, პროფესიონალიზმითა და კეთილშობილებით. იგი დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

ბატონი ოთარის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ოჯახისა და ახლობლებისათვის, კავკასიის უნივერსიტეტისა და მთლიანად ქართული აკადემიური სივრცისთვის.

# Otar Chedia

(1954 – 2024)

Otar Chedia was born on May 9, 1954, in Tbilisi, into a distinguished family of Georgian scholars. His mother, Tamar Zurabishvili, was a Georgian linguist and a research fellow at the Institute of Linguistics, while his father was a specialist in Old Slavic languages and a professor at Tbilisi State University. Otar completed his secondary education at School No. 60 and later at the Ilia Vekua Tbilisi Physics and Mathematics Public School No. 42. He subsequently enrolled in the Faculty of Mechanics and Mathematics at Tbilisi State University, from which he graduated with distinction in 1976, earning a Master's degree in Mathematical Sciences.

Following the completion of his university studies, he began his professional career at the Abastumani Astrophysical Observatory, working in the Department of Plasma Astrophysics from the very inception of the department. Mr. Chedia was among the key contributors to the establishment of the Georgian school of theoretical astrophysics. Through his noble character, calm demeanor, and collegial spirit, he enriched the scientific and intellectual life of the observatory. He was renowned for his exceptional erudition and unwavering integrity. In addition to his native Georgian, he was fluent in German, English, and Russian. His knowledge of chess and cinema was comparable to that of seasoned professionals. Alongside these personal qualities, he was a highly accomplished scholar, holding a Doctorate in Physical and Mathematical Sciences (1998) and authoring numerous scientific publications.

His research activity extended beyond Georgia and included work at the Institute of Space Research of the Russian Academy of Sciences in Moscow, as well as at the University of Belfast in the United Kingdom. His principal research interests lay in the study of magnetic field generation mechanisms in relativistic plasma, with particular emphasis on the magnetic field of the Crab Nebula.

Between 1995 and 1998, he served as a teacher-expert within the TACIS courses for Georgian civil servants. In 1998, he joined the academic community of Caucasus School of Business, later Caucasus University, where he initially worked as a lecturer and subsequently as a professor until the end of his life. He took great pride in being a member of Caucasus University faculty. An exceptional lecturer, Mr. Chedia provided generations of students with rigorous and comprehensive instruction in microeconomics and macroeconomics, leaving a lasting impact on their academic and professional development.

In January 2013, he was awarded the Order of Honor. Around the same period, he was diagnosed with an oncological illness. Despite his condition, he continued to teach as long as his health permitted—spending part of each year teaching and the remainder undergoing treatment in the United States, supported by his wife and son. Until his final days, he firmly believed that he would return to Georgia to bid farewell in person to his family, friends, colleagues, and students. After a courageous twelve-year struggle with the illness, he passed away on December 18, 2024, in the United States, at one of the country's leading clinics, having said his final goodbyes to his wife and son.

In January, through the support of the President of Caucasus University, Mr. Kakha Shengelia, and with the assistance of the Embassy of Georgia—an act for

which his family remains profoundly grateful—Mr. Otar Chedia was laid to rest in his native land.

Professor Otar Chedia was distinguished by his diligence, intelligence, professionalism and generosity. He enjoyed well-deserved authority and love among colleagues and students.

The passing of Mr. Otar Chedia is a profound loss for his family and loved ones, for Caucasus University, and for the entire Georgian academic community.